კოლეგებთან სამუშაო შეხვედრის ორგანიზება

სამუშაო შეხვედრების გეგმა

კოლეგებთან შეხვედრების ორგანიზატორი მასწავლებლის სახელი, გვარი-სსიპ ილია ჭავჭავაძის სახ. საჩხერის #2 საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი

ნათელა მაჭარაშვილი

#	შეხვედრის თარიღი	შეხვედრის მიზანი	შეხვედრის თემატიკა
1	26.02.2019	დიფერენცირებული სწავლების არსის გაცნობა-გაანალიზება.	-დიფერენცირებული სწავლების არსი; -დიფერენცირება სწავლის სტილის მიხედვით; -დიფერენცირება მზაობის მიხედვით; -დიფერენცირება ინტერესის მიხედვით;
2	27.02. 2019	დიფერენცირებული სწავლების ინსტრუმენტების გაცნობა-გაანალიზება.	-სასწავლო მენიუ; -სასწავლო გაჩერებები; -შეარჩიე საკითხავი მასალა; -წერითი დავალება ,,რაფთი'';
3	28.02.2019	განმავითარებელ შეფასებასა და დიფერენცირებულ სწავლებას შორის კავშირის განხილვა;მოქნილი დაჯგუფების არსის გაცნობა .	-კავშირი განმავითარებელ შეფასებასა და დიფერენცირებულ სწავლებას შორის; -მოქნილი დაჯგუფება;

პირველი შეხვედრის თარიღი-26.02.2019;

მიზანი-დიფერენცირებული სწავლების არსის გაცნობა-გაანალიზება;

შეხვედრის ძირითადი საკითხები:

-დიფერენცირებული სწავლების არსი;
-დიფერენცირება სწავლის სტილის მიხედვით;
-დიფერენცირება მზაობის მიხედვით;
-დიფერენცირება ინტერესის მიხედვით;

აქტუალობა-დიფერენცირებული სწავლების მიდგომები სასწავლო პროცესს მოსწავლეებისთვის მეტად საინტერესოდ აქცევს.ასეთი სწავლება ნიშნავს სწავლების ტემპის, სირთულის ან მეთოდის ცვლას მოსწავლის საჭიროების,სწავლის სტილის ან ინტერესის მიხედვით და ეს მეტად მნიშვნელოვანი მიდგომაა.პედაგოგმა ყველა გაკვეთილზე უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ სასწავლო მიზანს მიაღწიოს,ამის საუკეთესო საშუალება კი სწორედ დიფერენცირებული სწავლებაა.პედაგოგს სასწავლო წლის დასაწყისში აუცილებლად უნდა ჰქონდეს წარმოდგენა მოსწავლეების სწავლის სტილზე, რათა მათ დასაწყისში შევთავაზოთ შესაბამისი დავალებები, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოსწავლეებში არ მოვახდინოთ მრავალმხრივი უნარების განვითარება ამ მიმართულებით.მაგ. ვიზუალურ შემსწავლელს მხოლოდ ვიზუალური მასალა არ უნდა მიეწოდოს, არამედ სწავლის სხვადასხვა სტილიც უნდა შევთავაზოთ. მნიშვნელოვანია, რომ სწავლის სტილის მრავალფეროვნების გათვალისწინებით დაიგეგმოს გაკვეთილი,რადგან ცნობილია, რომ მოსწავლეები უფრო მეტად ვითარდებიან,როდესაც მდიდარი სასწავლო მასალა მიეწოდებათ.

რაც შეეხება დიფერენცირებას მზაობის მიხედვით, ეს გამოიყენება მაშინ, თუ რამდენად დაძლიეს მოსწავლეებმა სასწავლო მიზნები.ამის დადგენა კი განმავითარებელ შეფასებაზე დაყრდნობით შეიძლება.ყველა მომდევნო გაკვეთილზე უნდა დაიგეგმოს ისეთი აქტივობა, რომელიც მოსწავლეებში განავითარებს როგორც ბაზისურ ცოდნას, ასევე ამ ცოდნასთან დაკავშირებული რთული საკითხების შესწავლას.

დიფერენცირება ინტერესის მიხედვით როდესაც ხდება, ასეთ დროს მოსწავლე აქტიურად ერთვება სასწავლო პროცესში,იზრდება მისი მოტივაცია.

ვფიქრობ, რომ საკითხი მეტად აქტუალურია და ამ მიმართულებების შეცნობა-გამოყენება მოსწავლეებს შესაძლებლობას მისცემს აღიჭურვონ მრავალმხრივი უნარებით.

მეორე შეხვედრის თარიღი–27.02. 2019;

მიზანი– დიფერენცირებული სწავლების ინსტრუმენტების გაცნობა–გაანალიზება.

შეხვედრის ძირითადი საკითხები:

–სასწავლო მენიუ;
–სასწავლო გაჩერებები;
–შეარჩიე საკითხავი მასალა;
–წერითი დავალება ,,რაფთი";

აქტუალობა–დიფერენცირებული სწავლების ინსტრუმენტები პედაგოგებს დაეხმარება ისე დაგეგმონ გაკვეთილები, რომ შეძლონ მოსწავლეთა მაქსიმალური ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში, მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდა, ყურადღების მაქსიმალური მობილიზება, რაც მეტად მნიშვნელოვანია ეფექტური შედეგის მისაღწევად.

სასწავლო მენიუ მოსწავლეებს სთავაზობს კონკრეტულ სისტემას, რომ თვითონ აირჩიონ სასწავლო მიზანთან დაკავშირებული საკითხის შესწავლის ფორმა,დავალების ტიპი. კარგად დაგეგმილი სასწავლო მენიუ მრავალმხრივი დიფერენცირების საშუალებას იძლევა. ამ ინსტრუმენტის გამოყენება პედაგოგებს შესაძლებლობას გვაძლევს სიღრმისეულად შევაფასოთ მოსწავლეთა გაგება–გააზრების დონეც. ვფიქრობ, რომ კარგად დაგეგმილი ეს ინსტრუმენტი ძალიან საინტერესო და შედეგიანი იქნება.პედაგოგებს გავაცანი ჩემ მიერ მე–7 კლასში ჩატარებული სამოდელო გაკვეთილი ამ სტრატეგიის გამოყენებით.

სასწავლო გაჩერებები მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ინსტრუმენტია, რომელიც დიფერენცირებასაც ახდენს და მეტად საინტერესოცაა.ის შესაძლებელია გამოვიყენოთ როგორც ახალი საკითხის შესასწავლად, ასევე უკვე განხილული საკითხის სიღრმისეულად გასააზრებლად.ასევე მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მონიტორინგი, რათა დავრწმუნდეთ იმაში, რომ ჯგუფის ყველა მოსწავლე ჩართულია პროცესში.აქაც პედაგოგებს გავაცანი ჩემ მიერ ჩატარებული სამოდელო გაკვეთილის გეგმა.

საკითხავი მასალის შერჩევაც დიფერენცირების სტრატეგიაა, რომლის დროსაც მოსწავლეებს ინდივიდუალურად ან ჯგუფურად ვთავაზობთ აირჩიონ მათთვის უფრო მიმზიდველი საკითხავი მასალა, რომელიც სასწავლო თემასთან არის დაკავშირებული . ეს მიდგომაგარდა დიფერენცირებისა, ხელს უწყობს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას იმ შემთხვევაში, თუ პედაგოგი მრავალფეროვან საკითხავ მასალას წარუდგენს მათ-დაწყებული სტატიებიდან დასრულებული ნოველებით და ა. შ.

რაფთი არის წერითი დავალების შესრულების სტრატეგია, საკითხისადმი შემოქმედებითი მიდგომა,რომელიც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას დაფიქრდნენ შესასწავლი მასალის შინაარსზე, მოირგონ სასურველი როლი, აირჩიონ აუდიტორია,შეარჩიონ ფორმა და თემა . ეს ინსტრუმენტი პედაგოგებს შესაძლებლობას გვაძლევს შევაფასოთ როგორც მოსწავლეთა წინარე ცოდნა, ასევე საკითხის გაგება და გააზრება.

ოთხივე ამ სტრატეგიის გარკვეული სიხშირით საგაკვეთილო პროცესში გამოყენება მართლაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში მრავალმხრივი უნარების განვითარებას.

მესამე შეხვედრის თარიღი-28.02.2019;

მიზანი-განმავითარებელ შეფასებასა და დიფერენცირებულ სწავლებას შორის კავშირის განხილვა;მოქნილი დაჯგუფების არსის გაცნობა .

შეხვედრის ძირითადი საკითხები

-კავშირი განმავითარებელ შეფასებასა და დიფერენცირებულ სწავლებას შორის;
-მოქნილი დაჯგუფება;

აქტუალობა-განმავითარებელ შეფასებასა და დიფერენცირებულ სწავლებას შორის კავშირი, რა თქმა უნდა , დიდია. ორივე სწავლება დიფერენცირებული მიდგომაა და კარგად დაგეგმილი ასეთი მიდგომით სავსებით შესაძლებელია სასწავლო მიზნების მიღწევა.მთავარი ერთია-პედაგოგებმა კარგად უნდა შევისწავლოთ მოსწავლეთა ინტერესი და საჭიროებები, რომელზე დაყრდნობით უნდა შევარჩიოთ სწავლების სათანადო ინსტრუმენტი მოსწავლეთა უწყვეტი განვითარებისათვის.

განმავითარებელი თუ დიფერენცირებული სწავლების დროს მეტად მნიშვნელოვანია მოქნილი დაჯგუფება, რათა ერთმანეთს ენაცვლებოდეს დამოუკიდებელი, ჯგუფური თუ წყვილებში მუშაობა, რათა მოსწავლეს განუვითარდეს როგორც დამოუკიდენლად მუშაობის უნარი, ისე თანამშრომლობითი უნარები.

სამივე შეხვედრის შეჯამება-სამივე შეხვედრა მეტად შედეგიანი იყო. ერთად გავგეგმეთ გაკვეთილები განმავითარებელი თუ დიფერენცირებული სწავლების ინსტრუმენტების გამოყენებით, შესაბამისი მოქნილი დაჯგუფების სისტემის გამოყენებით.პედაგოგებს გავაცანი ჩემ მიერ ჩატარებული გაკვეთილების გეგმები, სადაც შესაბამისი სტრატეგიები მქონდა გამოყენებული, რითაც მათ ერთგვარად გაუიოლდათ თავიანთ საგაკვეთილო გეგმებზე მუშაობა.ვთვლი, რომ დასახულ მიზანს მივაღწიე.

შეხვედრას მუდმივად ესწრებოდა ცხრა პედაგოგი, მაგრამ ნაწილმა უარი განაცხადა რეფლექსიების დაწერაზე, თუმცა შეხვედრების ეფექტურობას ადასტურებს შეხვედრებში მონაწილე დანარჩენი ხუთი მასწავლებლის რეფლექსია, რომელიც შესაბამისად ატვირთეს eschool-ის ბაზაში(ნელი გაბიდური, ირინე იაკობაშვილი, თამარ მეცხვარიშვილი,მარეხი კუტალაძე, მზია დეკანოიძე),სწორედ ამიტომ დასწრების ფურცელში მინიშნებული მაქვს მხოლოდ იმ პედაგოგების მონაცემები, რომლებმაც დაწერეს და ატვირთეს რეფლექსიები.

დანართის სახით წარმოდგენილი დასწრების ფურცელი შეხვედრების ჩატარების თარიღის, დროისა და მონაწილეთა საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით.